საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თუმანიშვილი მიხეილ გრიგოლის ძე

თუმანიშვილი მიხეილ გრიგოლის ძე (1895, თბილისი, –21. II. 1921, ტაბახმელა), სამხედრო მოღვაწე. საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის (1918–21) ეროვნ. არმიის შტაბს-კაპიტანი. 1915 დაამთავრა პეტერბურგის საარტ. სასწავლებელი. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. პორუჩიკის სამხ. წოდებით იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის ეროვნ. არმიის ფორმირებისთანავე (1918) ჩადგა მის სამსახურში. 1921 თებერვალში იბრძოდა ბოლშევიკური რუსეთის მე-11 წითელი არმიის წინააღმდეგ ტაბახმელაში, სადაც დაიღუპა სხვა ქართვ. მებრძოლებთან ერთად. დაკრძალეს თბილისში, ე. წ. „სობოროსთან", ამჟამინდელი პარლამენტის შენობის წინ.

დაჯილდოებულია წმ. ვლადიმირის ორდენით და წმ. გიორგის ჯვრით.

ლიტ.: მიხეილ გრიგოლის ძე თუმანიშვილი, გაზ. «კოლხური კოშკი», თბ., 1995, №23 (28).

ლ. ურუშაძე